ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი # 1

ქალაქი ბათუმი

07 სქტემბერი, 2018 წელი

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. ნათია აფხაზავა - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი ;
2. თემურ კაკაბაძე - ,,ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის'' დამფუძნებელი და თავმჯდომარე ;
3. თამაზ თურმანიძე - შპს ,,რუსული რეგისტრი ვესტჯორჯია''-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
4. ლაშა ნაკაშიძე - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში - UNDP – GEF - პროექტის ,,მწვანე ქალაქები მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის'' ხელმძღვანელი;
5. ზურაბ ჩიხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
6. გურამ ფუტკარაძე - აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი;
7. კახაბერ გუჩმანიძე - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში - კოორდინატორი აჭარაში;

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მე-7 პუნქტის თანახმად საბჭოს პირველი სხდომა მოწვეული იქნა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ.

სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს მერიის ადმინისტრაციის მიერ :

დღის წესრიგი -

18:00 - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევა;

18:30 - ქ. ბათუმის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიმდინარეობის ანგარიშის განხილვა.

საკრებულოს სხდომათა დარბაზში ქ.ბათუმის მერიის შესაბამისი ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად შეკრებილმა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა დღის წესრიგის თანახმად მოისმინეს ქ.ბათუმის მერის ინფორმაცია ქ.ბათუმის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიმდინარეობის ანგარიშის შესახებ.

განხილვაში აქტიურად ჩაერთვნენ და საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირეს საბჭოს წევრებმა :

ნათია აფხაზავამ - გამოთქვა მოსაზრებები მუნიციპალიტეტში კულტურის, განათლების, ახალგაზრდული პოლიტიკის და ზოგადად სოციალური სფეროს შემდგომი განვითარების თაობაზე; ნინო ინაიშვილმა და კახაბერ გუჩმანიძემ გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები ქალაქში არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობასა და ნარჩენების მართვაზე, თამაზ თურმანიძემ დააფიქსირა თავისი მოსაზრება საინვესტიციო გარემოზე, ზურაბ ჩიხლაძემ მერს მიაწოდა ინფორმაცია კონკრეტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და ხაზი გაუსვა მის შემდგომ დახვეწის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, ასევე იმსჯელა სატრანსპორტო პოლიტიკაზე.

მიმდინარე საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ - დარბაზში დარჩენილმა საბჭოს წევრებმა იმსჯელეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდგომ საკითხზე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევა;

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ 7, არ ესწრებოდა 4 .

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე 10 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია რადგან მასში სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი მონაწილეობდა.

სხდომა გახსნა და უძღვებოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი ნათია აფხაზავა, რომელმაც კენჭისყრაზე დააყენა საკითხი აერჩიათ თუ არა პირველივე სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარე თუ გადაედოთ ხელმძღვანელი რგოლის არჩევა შემდგომი სხდომისთვის სადაც სავარაუდოთ რაოდენობრივად უფრო მეტად წარმომადგენლობითი იქნებო საბჭოს სხდომა.

გაიმართა ღია კენჭისყრა : შედეგად - 5 წევრმა მხარი დაუჭირა პირველივე სხდომაზე თავმჯდომარის არჩევის საკითხს, ხოლო 2 წევრი - ნათია აფხაზავა და ლაშა ნაკაშიძე იყო წინააღმდეგი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის 1 პუნქტის თანახმად საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს არანაკლებ 3 წევრს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საბჭოს წევრებმა - თამაზ თურმანიძემ, თემურ კაკაბაძემ, ზურაბ ჩიხლაძემ და გურამ ფუტკარაძემ დაასახელეს - კახაბერ გუჩმანიძის კანდიდატურა.

გაიმართა ღია კენჭისყრა : - სულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 7 - მა დამსწრე წევრმა ; 6 - მომხრე, მხოლოდ 1 საბჭოს წევრმა - ლაშა ნაკაშიძემ შეიკავა თავი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა - კახაბერ გუჩმანიძე.

საბჭომ ასევა იმსჯელა მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიმდინარეობის ანგარიშის თაობაზე, გამოითქვა მოსაზრება, რომ უფრო დეტალურად გაცნობის შემდგომ საბჭომ იმსჯელოს სამომავლო რეკომენდაციებზე.

მონაწილეთა სია

შეხვედრა: ქალაქ ბათუმის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პირველი სხდომა

თარიღი: 07 სექტემბერი, 2018 წელი

ადგილი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, ლუკა ასათიანის #25

#	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	პოზიცია	ტელეფონის ნომერი	ელ. ფოსტა	ხელმოწერა
1.	ნათია ავქსენტიევა	საქართველოს სამოქალაქო ინფორმაციის ცენტრი	ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი	599 777185	natia@civilinfo.ge	
2.	თომა კაკაბაძე	ბავშვების თავშესაფარი ოფელიას თვის	კანონმდებლობის ანალიტიკოსი	557 57 4000	tomakakabadze@gmail.com	
3.	ნინო ინაიშვილი	ორგანიზაცია ჩაალი	ძალადობის გამკლავება	577-41-85-25	nino_thaishvili@yahoo.com	
4.	თამარ თურმანიძე	ეროვნული საკანონმდებლო ინსტიტუტი	თანამდებობის მოადგილე	577-57-12-77	tturmanidze@gmail.com	
5.	ლაშა ნაკაშიძე	UNDP	პროექტის კოორდინატორი	577115135	lasha.nakashidze@undp.org	
6.	კახაბერ გუჩმანიძე	CENN	უფროსი ეკონომისტი	577465146	k.guchmanidze@gmail.com	
7.	ზურაბ ჩიხლაძე	ქალაქ ბათუმის მ.ბ. აღმასრულებელი	1. ზონის წევრი	577 74-13-45	mayi-zuka@mail.ru	
8.	გურამ ფუტკარაძე	ავტონომიური რ. ადარაბიანის სახელობის საქართველოს სოფლის	1. ბ ფ ო ს წევრი	593-35-91-99	gurami.futkaradze1951@mail.ru	

ასევე ვთხოვ ახლადარჩეულ თავმჯდომარეს სხდომის შესაბამისი ოქმის მიმზადება, უახლოეს პერიოდში საბჭოს სხდომის მიწვევის უზრუნველყოფა მოადგილისა და მდივნის არჩევის და მიმდინარე სამუშაო გეგმის წარმოდგენა-განხილვის მიზნით.

სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს
თავმჯდომარე :
კახაბერ გუჩმანიძე

წევრები :
ნათია ავქსენტიევა
თამარ თურმანიძე
თემურ კაკაბაძე
ზურაბ ჩიხლაძე
ლაშა ნაკაშიძე
გურამ ფუტკარაძე